ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

შეფასების კრიტერიუმები

I. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები, მექანიკური შეცდომები ---------- *8ქ.*

ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (8) აკლდება თითო ქულა.

II. სტილისტური ხარვეზები და ტექსტური უზუსტობები ---------- *2ქ.*

ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა

III. პუნქტუაციური შეცდომები ---------- *6ქ.*

ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (6) აკლდება თითო ქულა.

I. ვარიანტი

ბარბარე ჯორჯაძე

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში აქტიურად განიხილებოდა ისეთი საკითხი, როგორიცაა საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალების გამოსვლა. ქალთა უფლებებზე პირველი ალაპარაკდა ბარბარე ჯორჯაძე, რომელმაც არაერთი საგულისხმო წერილი მიუძღვნა ამ პრობლემას. მას მტკიცედ სწამდა, რომ აუცილებელი იყო ქალების საყოველთაო განათლება და მათთვის სამოქალაქო უფლებების მინიჭება.

ბარბარე ჯორჯაძე მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი გაბედულად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და მრავალი მიმართულებით მოსინჯა საკუთარი შესაძლებლობები, კერძოდ, იგი მწერალიც იყო, პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა და ქალთა თანასწორობასაც ქადაგებდა. ბარბარე ჯორჯაძე ცხოვრების ბოლომდე დიდი ინტერესით ეცნობოდა სიახლეებს. მას ყველა მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით ჰქონდა საკუთარი პოზიცია. აღსანიშნავია, რომ მან წერა-კითხვის სწავლების საკუთარი მეთოდი შეიმუშავა. ბარბარე ჯორჯაძე გახლავთ ავტორი პირველი ქართული კულინარიული წიგნისა, რომელიც იმ ეპოქის მატიანეა ენობრივი, კულტურული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

ბარბარე ჯორჯაძე იყო ერთადერთი ქალი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს შეეკამათა ქართული ენის მოდერნიზაციის საკითხთან დაკავშირებით. მის სტატიებსა თუ მოსაზრებებს ხშირად ბეჭდავდნენ ჟურნალ-გაზეთები: „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“ და „ჯეჯილი“.

II. ვარიანტი

ნინო ყიფიანი

ნინო ყიფიანი გახლდათ დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი. ოჯახში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ იგი თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მის სწავლას ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი აფინანსებდა. ნინო ყიფიანი იყო რუსეთის იმპერიიდან პირველი იურისტი ქალი, რომელმაც ბრიუსელში მიიღო იურიდიული განათლება. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა იტალიისა და ბელგიის საელჩოების წარმომადგენლობებში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა ნინო ყიფიანის მსოფლმხედველობის ამოსავალი პრინციპი იყო. მან ამ თემას არაერთი საგანგებო პუბლიკაცია მიუძღვნა. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ საკითხს, როგორიცაა ქალთა განათლება. 1896 წელს ნინომ დაბეჭდა ვრცელი წერილი „ქართველი ქალების მოღვაწეობის მიმოხილვა“. მისი ინიციატივით შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომლის დანიშნულება იყო ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა, რათა მათ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა ჰქონოდათ.

1907 წელს მეფის მთავრობამ მას რუსეთის იმპერიაში ყოფნა აუკრძალა, რის გამოც ის საცხოვრებლად ჯერ ბრიუსელში გადავიდა, შემდეგ – იტალიაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ნინო ყიფიანი სამშობლოში დაბრუნდა და თბილისში დასახლდა. მოგვიანებით მან ქვიშხეთში პაპისეულ სახლ-კარს მიაშურა და იქვე გარდაიცვალა.

III. ვარიანტი

ოლღა გურამიშვილი

ოლღა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი ილია ჭავჭავაძის მეუღლის უახლოესი ნათესავი და მისივე ნათლული იყო. თბილისის ქალთა გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში. ამ პერიოდში ოლღა ესწრებოდა პროფესორ თარხნიშვილის ლექციებს ბუნებისმეტყველებაში.

გაზეთ „დროების“ გარშემო თავმოყრილმა მოწინავე ქართველობამ მიზნად დაისახა ახალგაზრდა ქალების ხელშეწყობა, რათა მათ უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში გამგზავრება შესძლებოდათ. მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა, 17 წლის ოლღა სახლიდან გაიპარა და სხვისი პასპორტით გაემგზავრა შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ოლღა ასწავლიდა თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქალი მასწავლებელი რუსეთის იმპერიაში. მას თვით იაკობ გოგებაშვილმა გაუწია რეკომენდაცია. 1883 წელს ოლღა გურამიშვილმა ნიკო ნიკოლაძეზე დაიწერა ჯვარი. ახალდაქორწინებულები პეტერბურგში გაემგზავრნენ, რადგან ნიკო იქ იყო გადასახლებული. საქართველოში დაბრუნებული ნიკოლაძეები დიდ ჯიხაიშში დასახლდნენ. ოლღამ აქ გახსნა ქალთა პირველი სკოლა, სადაც იგი ტექნიკის სიახლეებს აცნობდა მოსწავლეებს, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონოდათ, რომ სოფლის მეურნეობა უკეთ განევითარებინათ. იგი ახალგაზრდებს აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოყვანას, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვას ასწავლიდა.

IV. ვარიანტი

ეკატერინე ნიკოლაძე

XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი მოღვაწეები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა აქტიურ ჩართვას. დაიწყო ახალგაზრდა ქალების ხელშეწყობა, რათა ისინი უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში წასულიყვნენ. იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ამ მიზნით პირველები წავიდნენ ევროპაში, იყვნენ ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის, დები.

ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები შვეიცარიაში მოხვდნენ იმ დროს, როდესაც სოციალისტები ყველგან დაუფარავად ავრცელებდნენ ახალ იდეებს. რუსეთის იმპერიიდან სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებოდა. ციურიხში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა დააარსეს საზოგადოება „უღელი“, რომლის მიზანი იყო ევროპაში მიმდინარე პროცესების შესწავლა, საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია საქართველოში. სანუკვარი მიზნისათვის რომ მიეღწიათ და სამშობლო გაეთავისუფლებინათ, ახალგაზრდები სხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლებთან დაკავშირებას ცდილობდნენ. დები ნიკოლაძეები ამ საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ.

განათლების მიღების შემდეგ ეკატერინე ქუთაისში დაბრუნდა. აქ მან და მისმა თანამოაზრეებმა დააფუძნეს ქუთაისის ქალთა საზოგადოება, რომლის მთავარი მიზანი იყო გუბერნიაში მცხოვრებ ქალთა განათლებაზე ზრუნვა. გარდა ამისა, ეს საზოგადოება ფინანსურადაც ეხმარებოდა ხელმოკლე ახალგაზრდებს.

V. ვარიანტი

ეკატერინე მელიქიშვილი

ეკატერინე მელიქიშვილი გახლდათ თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის, და. ძმებისა და ნიკო ნიკოლაძის ხელშეწყობით 19 წლის ეკატერინე გაგზავნეს შვეიცარიაში, სადაც მან ჯერ გიმნაზია დაამთავრა, ხოლო შემდეგ უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო.

ეკატერინე ევროპაში დიდი მონდომებით სწავლობდა, პარალელურად კი იმ დროის მოწინავე იდეებს ეცნობოდა. სწავლის პერიოდში ეკატერინე დაუკავშირდა საზოგადოება „უღელს“, რომელიც ციურიხში მყოფმა ქართველმა სტუდენტობამ დააარსა. ახალგაზრდებმა შეიმუშავეს ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენის გეგმა და ჩამოაყალიბეს მთარგმნელთა წრე, რათა ქართველებს ევროპული კულტურის უკეთ გაცნობის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ეკატერინე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და მრავალმხრივ იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან და მისმა თანამოაზრეებმა დააფუძნეს ორგანიზაცია „განათლება“, რომლის ხელშეწყობითაც გაიხსნა არაერთი ქართული სასწავლებელი. „განათლებამ“ იმდენად გაითქვა სახელი, რომ მეცენატთა ყურადღებაც მიიპყრო. სწორედ მათი დახმარებით შეძლო საზოგადოებამ ქალთა საშუალო სკოლისა და სამხატვრო სასწავლებლის შენახვა. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეკატერინე ოდესის უნივერსიტეტშიც მოღვაწეობდა. იგი იყო ქალთა უმაღლესი კურსების გახსნის ინიციატორი და მისი პირველი დეკანი.

VI. ვარიანტი

კატო მიქელაძე

ჯერ კიდევ ასი წლის წინ საქართველოში იყვნენ ქალები, რომლებიც უშიშრად იბრძოდნენ სწავლის, მუშაობის, არჩევნებში ხმის მიცემისა თუ სხვა უფლებების მოსაპოვებლად. მათ შორისაა კატო მიქელაძე. იგი განათლებას თავდაპირველად ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში იღებდა. 1900 წელს კატო ცხინვალში წავიდა სამუშაოდ, სადაც დააარსა ბიბლიოთეკა და სცენის მოყვარულთა წრე.

1903 წელს კატო მიქელაძე მოსკოვში გაგზავნეს პედაგოგიურ კურსებზე სასწავლებლად, მაგრამ მან მალე დატოვა რუსეთი და განათლების მისაღებად ევროპაში გაემგზავრა. კატო მიქელაძე ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი პარიზში გადასახლდა, რათა საფუძვლიანად შეესწავლა ქალთა მოძრაობის ევროპული გამოცდილება.

1916 წელს კატო სამშობლოში ბრუნდება. აქ იგი ახორციელებს თავის ჩანაფიქრს და აყალიბებს „ქალთა ლიგას“, რომელშიც გაერთიანდნენ ქალები საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან. ამავე პერიოდში იგი გამოსცემს გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“. ეს გაზეთი საზოგადოების წინაშე სვამდა უმწვავეს საკითხებს, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდნენ საქართველოში არსებულ პრობლემებს. გარდა ამისა, გაზეთის მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის დასავლურ გამოცდილებას გასცნობოდა.

VII. ვარიანტი

ელენე ყიფიანი

ელენე ყიფიანი გახლდათ დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი. იგი გვერდში ამოუდგა მამას ისეთ საქმეში, როგორიცაა ქართული თეატრის აღდგენა. დიმიტრი ყიფიანის ოჯახში ატარებდნენ რეპეტიციებს, დგამდნენ წარმოდგენებს. ყველა ამ ღონისძიების აქტიური მონაწილენი იყვნენ დიმიტრის შვილები. ელენემ სცენაზე გამოსვლითა და ნიჭიერი თამაშით დიდად შეუწყო ხელი ქართული თეატრის აღორძინებას.

ელენე ყიფიანის თაოსნობით ჩამოყალიბდა ქალთა ლიტერატურულ-მთარგმნელობითი წრე. ახალგაზრდა ქალებმა, რომლებიც აქ იყვნენ გაერთიანებულნი, მიზნად დაისახეს უცხოური ლიტერატურის თარგმნა-გამოცემა. კრებული, რომლის პირველი ნომერიც 1872 წელს დაიბეჭდა, გამოდიოდა სახელწოდებით – „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“. სწორედ ამ კრებულში გამოქვეყნდა პირველად ელენეს თარგმანები. ამ გზით იგი ახალ თაობას აცნობდა უცხოურ ლიტერატურას, აზიარებდა ევროპულ კულტურას.

ელენე ყიფიანი მრავალი საზოგადოებრივი საქმიანობის მოთავე და აქტიური მონაწილე იყო. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შეკრებისა და ნოტებზე გადატანის საქმეს, რასაც საგანგებოდ აღნიშნავდა იაკობ გოგებაშვილი. ელენე იყო ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე. იგი არამარტო მოსწავლეების განათლებაზე ზრუნავდა, არამედ მატერიალურადაც ეხმარებოდა მათ.

არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 120 სიტყვას არ აღემატება, VII, VIII და IX კრიტერიუმებით არ შეფასდება.

I კრიტერიუმი

№	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	1
3.	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ესეს სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომი ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	1
2.	ესეს სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომში ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და/ან აბზაცები ***სწორად არ არის*** გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	*პრობლემის გააზრება*	*ქულები*
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	3

2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზერელე ცოდნა, არ ჩანს აბიტურიენტის სათანადო ინფორმირებულობა და ერუდიცია.	1
4.	აბიტურიენტი ვერ ერკვევა განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში.	0

IV კრიტერიუმი

№	*მსჯელობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	5
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტაცია არასაკმარისია და/ან ***არ არის გამყარებული*** შესაფერისი მაგალითებით.	4
3.	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტებსა და მოხმობილ მაგალითებს ***დამაჯერებლობა აკლია.***	3
4.	მსჯელობა ***ზერელედაა*** დასაბუთებული და არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
5.	მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტები და/ან მაგალითები არაადეკვატურია.	1
6.	მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	0

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	2

2.	ნაშრომში ***ძირითადად*** არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა არის დასმული პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის მცდელობა.	1
3.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	0

VI კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი სიზუსტე	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	*ქულები*
1.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომის სტილი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომის სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, სტილისტიკურად გაუმართავია.	0

VIII კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ერთზე მეტი შეცდომა.	**4**
2.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	**3**
3.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	**2**
4.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	**1**
5.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	**0**

IX კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	**2**
2.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	**0**

მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **30.** თუ აბიტურიენტის ნაშრომი მოცემული ტექსტის პერიფრაზია, თითოეული მითითება მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით არის შესრულებული ან ტექსტი მთლიანად არაადეკვატურადაა გაგებული (ანდა გაურკვეველი კალიგრაფიის გამო ნაშრომის წაკითხვა ვერ ხერხდება), ***<u>დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება</u>***.

დავალების ესა თუ ის მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ **ერთი-ორი** წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 120 სიტყვას არ აღემატება, VIII, IX და X კრიტერიუმებით არ შეფასდება!

I კრიტერიუმი

№	*მოცემული ტექსტის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	ტექსტი ***ღრმადაა*** გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	**4**
2.	ტექსტი ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	**3**
3.	***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება ტექსტის არაადეკვატური გაგება.	**2**
4.	***ერთზე მეტ*** შემთხვევაში ტექსტი ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	**1**
5.	ტექსტი ***მთლიანად არაადეკვატურადაა*** გაგებული.	**0 ნაწერი აღარ სწორდება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და ***კარგადაა ორგანიზებული,*** აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	**3**
2.	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ტექსტი არ არის კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი;*** ან ნაშ-რომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	**2**
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ***ტექსტი არ არის*** კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი;*** ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	**1**
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ***ტექსტი არ არის*** ორგანიზებული ან/და აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	**0**

III კრიტერიუმი

№	*დავალების (მითითებების) ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალება ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, არ არის საკითხიდან გადახვევის არც ერთი შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომლებიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება).	**2**

2.	დავალების პირობა ძირითადად ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ***არაადეკვატური*** გაგება ან არის საკითხიდან გადახვევის ორიოდე შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომელიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება).	**1**
3.	დავალების პირობა ***არაადეკვატურადაა*** გააზრებული.	**0**

IV კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** (არგუმენტირებულია) და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით.	**6**
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	**5**
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**4**
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	**3**
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**2**
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	**1**
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული.	**0**

V კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია, გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება და დამოწმებული მაგალითები ***სწორია.***	**3**
2.	მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია, გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება, თუმცა ერთ შემთხვევაში მაგალითი ***არასწორია*** ანდა მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***არადამაჯერებელია,*** თუმცა ***გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება და დამოწმებული მაგალითები ***სწორია.***	**2**
3.	ნაშრომში არის მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, მაგრამ ***არ არის*** გამოყოფილი ***არცერთი*** მხატვრული საშუალება; ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, მაგრამ ***გამოყოფილია რამდენიმე*** მხატვრული საშუალება, თუმცა დამოწმებულ მხატვრულ საშუალებათაგან ერთი ***არასწორია.***	**1**
4.	ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, გამოყოფილი მხატვრული საშუალებები ***არასწორია*** ან ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.	**0**

VI კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	**3**
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**2**
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**1**
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**0**

VII კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი სიზუსტე*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	**1**
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	**0**

VIII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის ***შესაფერისი სტილი,*** გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	**3**
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტადაა*** გამოხატული, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	**2**
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ***ლექსიკა მწირია,*** გვხვდება არაერთი სტილისტიკური ხარვეზი.	**1**
3.	თხზულება სტილისტიკურად ***გაუმართავია*** (ზოგიერთი მონაკვეთის აზრის გაგება ჭირს).	**0**

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია-ორთოგრაფია და სინტაქსი*	*ქულები*
1.	არ არის ***ორზე მეტი*** შეცდომა.	**3**
2.	არ არის ***ოთხზე მეტი*** შეცდომა.	**2**
3.	არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**1**
4.	დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**0**

X კრიტერიუმი

№	*პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***სამზე მეტი*** შეცდომა.	**2**
2.	არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**0**